„მოიგე დაგროვებისას“

აქციის პირობები

1. **აქციის პერიოდი:** 2016 წლის 15 სექტემბრიდან - 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით;
2. **გამარჯვებულის გამოვლენის მეთოდი**: რიგითობის პრინციპი, იგებს აქციაში ჯამურად მონაწილე ბილეთების ყოველი მე-100 ბილეთის მფლობელი, რიგითობა გამოითველება პროგრამულად ბილეთის შეძენის/გააქტიურების თარიღის და დროის (საათის) მიხედვით.
3. **გამარჯვებულების გამოვლენის დრო**: არაუგვიანეს 2016 წლის 15 ნოემბერი.
4. **მომხმარებლებისათვის ბილეთების რაოდენობისა და სტატუსის შემოწმება:** SMS საშუალებით ნომერზე (ჯეოსელი/ბილაინი - 5552; მაგთი - 95552) სიტყვა „bonus”-ის გაგზავნისას მომხმარებელი SMS შეტყობინების სახით მიიღებს ინფორმაციას ბილეთების რაოდენობისა და მათი სტატუსის, კერძოდ აქტიური და გასააქტიურებელი ბილეთების შესახებ.
5. **აქციაში მონაწილეობის მიღება, შეზღუდვა**: აქციაში მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ უნიქარდის სისტემაში რეგისტრირებული ძირთადი და დამატებითი უნიქარდის ბარათის მფლობელებისთვის (აქციის მიზნისათვის რეგისტრირებულად ითვლება მომხმარებელი, რომელსაც უნიქარდისთვის მიწოდებული /დარეგისტრირებული აქვს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: სახელი, გვარი და მობილური ტელეფონის ნომერი);
6. აქციაში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია:
   ა. უნიქარდის პარტნიორ კომპანიებში ქულების დაგროვებით;
   ბ. გათამაშების ბილეთის უნიქარდის ქულებით შეძენით.

ა. უნიქარდის პარტნიორ კომპანიებში ქულების დაგროვებით აქციაში მონაწილეობის მიღება

1. მომხმარებელი, რომელიც უნიქარდის ნებისმიერ პარტნიორ კომპანიაში აქციის პერიოდში მინიმუმ 30 (ოცდაათი) ლარიან შენაძენზე უნიქარდის ბარათით განახორციელებს საბარათე ოპერაციას, კომპანიაში რეგისტრირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე SMS-ის საშუალებით მიიღებს ბილეთის უნიკლურ კოდს. 1 (ერთ) მინიმუმ 30 (ოცდაათი) ლარიან საბარათე ოპერაციაზე გაიცემა მაქსიმუმ 1(ერთი) ბილეთი;
2. აქციაში მონაწილეობის მისაღებად, მოხმარებელი ვალდებულია გააქტიუროს ბილეთი შემდეგი რომელიმე საშუალებით კერძოდ,
   ა. ვებგვერდზე (www.unicard.ge) შესაბამის ველში უნიკალური კოდის შეყვანით;
   ბ. SMS-ის საშუალებით ნომერზე (ჯეოსელი/ბილაინი - 5552; მაგთი - 95552) უნიკალური კოდის გაგზავნით;
   გ. სატელეფონო ცენტრის მეშვეობით (+99532) 2 555 222 დაკავშირებით;
   დ. მომსახურების ცენტრ(ებ)ის საშუალებით.
3. ყოველი მიღებული ბილეთი საჭიროებს გააქტიურებას;
4. <u>გაუაქტიურებელი ბილეთი</u> გათამაშებაში მონაწილეობას არ ღებულობს.

ბ. ბილეთის უნიქარდის ქულებით შეძენის გზით გათამაშებაში მონაწილეობის მიღება

1. მომხმარებელი, რომელიც აქციის პერიოდში უნიქარდის ქულებით შეიძენს ბილეთს შეძლებს გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას;
2. ერთი (1) ბილეთის ღირებულება შეადგენს 9 (ცხრა) ქულას;
3. ბილეთის შეძენა შესაძლებელია SMS-ის საშუალებით ნომერზე (ჯეოსელი/ბილაინი - 5552; მაგთი - 95552) სიტყვა „BILETI" გამოგზავნის შემთხვევაში, ასევე ვებგვერდის (www. unicard.ge), სატელეფონო ცენტრის ((+99532) 2 555 222) და მომსახურების ცენტრის საშუალებით;
4. ქულებით შეძენილი ბილეთი აქტიურია და დამატებით გააქტიურებას არ საჭიროებს.

2. გამარჯვებულების გამოვლენა და პრიზების გაცემა

1. ბილეთების გააქტიურება შესაძლებელია 2016 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით. 2016 წლის 7 ნოემბრის 24:00 საათის შემდეგ გაუაქტიურებელი ბილეთები უქმდება.
2. გამარჯვებული გამოვლინდება რიგითობის პრინციპით, აქციაში ჯამურად მონაწილე ბილეთებიდან იგებს ყოველი მე-100 ბილეთის მფლობელი. რიგითობა განისაზღვრება ბილეთის შეძენის/გააქტიურების თარიღის და დროის (საათის) მიხედვით;
3. მოგებული ბილეთების მფლობელების გამოვლენა განხორციელდება არაუგვიანეს 2016 წლის 15 ნოემბრისა;
4. გათამაშების შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ მხოლოდ მოგებული ბილეთების მფლობელებს/ მომხმარებლებს SMS შეტყობინების ან სატელეფონო ცენტრის საშუალებით;
5. პრიზები გაიცემა მხოლოდ ძირითადი ბარათის მფლობელებზე.
6. პრიზების გაცემა განხორციელდება უნიქარდის მომსახურების ცენტრებიდან, თბილისში ან მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში რეგიონალური მომსახურების ცენტრებიდან;
7. ქულების მოგების შემთხვევაში ქულების დარიცხვა მომხმარებელებისათვის განხორციელდება SMS მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3. სხვა საკითხები

1. აქციის ფარგლებში გაიცემა ჯამურად 400 (ოთხასი) პრიზი 40 000 (ორმოცი ათასი) მოგებული ბილეთის მფლობელისათვის;
2. თუ აქციის ფარგლებში 40 000 (ორმოცი ათასი) ცალ ბილეთზე მეტი გააქტიურდება, ყოველი მე-100 (მეასე) ბილეთის მფლობელი დასაჩუქრდება 50 (ორმოცდაათი) უნიქარდის ქულით;
3. უნიქარდს უფლება აქვს გააუქმოს ბილეთები ნებისმიერ ეტაპზე, თუ საბარათე ოპერაციას მიეკუთვნა საეჭვო ოპერაციის სტატუსი;
4. უნიქარდს უფლება აქვს 15 (თხუთმეტი) წუთის ინტერვალში, ერთსა და იმავე ობიექტში განხორციელებული საბარათე ოპერაცია ჩათვალოს დაგორვების ერთ ოპერაციად და შესაბამისად დააგენერიროს/გასცეს 1 (ერთი) ბილეთის კოდი;
5. ბილეთის შეძენისას მომხმარებელს ჩამოეწერება შესაბამისი ღირებულების ქულა;

6. შეძენილი ბილეთი და შესაბამისად ჩამოწერილი ქულები დაბრუნებას არ ექვემდებარება;
7. დამატებით ბარათის საშუალებით გააქტიურებული ბილეთის მოგების შემთხვევაში, ქულა დაირიცხება ანგარიშზე, რომელზეც დაკავშირებულია ბარათი, დარიცხული ქულების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი ბარათის მფლობელის მიერ უნიქარდში არსებული წესის შესაბამისად;
8. არარეგისტრირებული მომხმარებელი გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს რეგისტრაციის შემდეგ.